

ბიზნესინტერნეტბანკში API სერვისების აქტივაციის ინსტრუქცია

***სერვისის გააქტიურება შეუძლია მხოლოდ კომპანიის დირექტორს**


- შედით **bonline.ge-ზე**
- აირჩიეთ მთავარ მენიუში **სერვისები,** შემდეგ კი **API ინტეგრაცია**



- დააჭირეთ **მოდულის გააქტიურებას**




- შეიყვანეთ მიღებული **ერთჯერადი კოდი,** რის შემდეგაც **API სერვისის მოდული გააქტიურდება**



მოდულის გააქტიურება გულისხმობს, რომ თქვენი მოთხოვნა API სერვისების გამოყენებასთან დაკავშირებით **საქართველოს ბანკში უკვე დაფიქსირებულია*

- მოდულის გააქტიურების შემდეგ თქვენი პროგრამის ბიზნესინტერნეტბანკთან დასაკავშირებლად დაგჭირდებათ API კლიენტის დარეგისტრირება. API კლიენტი გულისხმობს **უნიკალური სახელის** შექმნას, რაც საჭიროა API სერვისით ავტორიზაციისთვის – თქვენს თანამშრომელს საბუღალტრო პროგრამაში ბიზნესინტერნეტბანკის ფუნქციებზე რომ ჰქონდეს წვდომა

- დააჭირეთ **ახალი კლიენტის დამატებას**




- აირჩიეთ, რა ტიპის აპლიკაციაში გსურთ ბიზნესინტერნეტბანკის ფუნქციების დამატება – **ვებაპლიკაციაში, დესკტოპაპლიკაციასა** თუ **APISecretKey-ში**


ვებაპლიკაცია, ძირითადად, ხელმისაწვდომია ვებბრაუზერის საშუალებით (ამ ტიპის ინტეგრაციის შემთხვევაში ყოველი ავტორიზაციისას პროგრამა მოითხოვს თანამშრომლის მომხმარებლის სახელსა და პაროლს)

დესკტოპაპლიკაცია დაინსტალირებულია უშუალოდ კომპიუტერზე (ამ ტიპის ინტეგრაციის შემთხვევაშიც პროგრამა ყოველი ავტორიზაციისას მოითხოვს თანამშრომლის მომხმარებლის სახელსა და პაროლს)


APISecretKey კი გულისხმობს ავტომატურ ინტეგრაციას, რომლის დროსაც არ არის საჭირო მომხმარებლის სახელისა და პაროლის მითითება. ეს, ძირითადად, განკუთვნილია იმ მომხმარებლისთვის, რომელსაც აქვს საკუთარი ნებისმიერი ტიპის პროგრამა შიდა მოხმარებისთვის და ესაჭიროება მონაცემების განახლება რეგულარულად, დღე-ღამის ნებისმიერ მონაკვეთში




- ვებ- ან დესკტოპაპლიკაციის შემთხვევაში მიუთითეთ აპლიკაციის დასახელება (დასახელება შეიძლება იყოს ნებისმიერი, რაც მიგახვედრებთ, თუ რისთვის იყენებთ ამ API კლიენტს)



- APISecretKey-ს შემთხვევაში ჩაწერეთ API კლიენტის დასახელება და აირჩიეთ ის თანამშრომელი, რომლისთვის მინიჭებული უფლებებითაც ისარგებლებს ავტომატური ინტეგრაცია. ამ შემთხვევაში თქვენს პროგრამას ექნება წვდომა მხოლოდ იმ ინფორმაციაზე, რომელზეც ამ თანამშრომელს აქვს წვდომა



- დააჭირეთ **კომპანიის პროფილს,** შემდეგ **მომხმარებლის მართვას,** ასევე **მომხმარებელს, API უფლებებს** და მონიშნეთ ის საბანკო სერვისები, რომლებიც გსურთ, რომ თქვენს თანამშრომელს ჰქონდეს საბუღალტრო პროგრამაში შესვლისას



*გაითვალისწინეთ, თუ ახალი თანამშრომლის დამატება გინდათ, მისთვის ახალი API კლიენტის დამატება არ არის საჭირო. საკმარისია გაუწეროთ შესაბამისი უფლებები და ის API სერვისთან ინტეგრირებული პროგრამით ისარგებლებს შეუფერხებლად